

ზამთრის სახეობაა ფეხბურთი?

ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი ჩატარდა მოსკოვში. დედაქალაქის არმიელები თავიანთ მინდორზე დამარცხდნენ ერევნის “არარატთან” – 1:3.

“ლოკომოტივმა” გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონებთან – თბილისის დინამოელებთან შეხვედრაში – 4:2.

ძალზე ძნელია ამ შეხვედრებს საფეხბურთო მატჩები ეწოდოს. საქმე ისაა, რომ მოსკოვში ახლა ყინავს (თამაშების დღეს ტემპერატურა მინუს 10 გრადუსი იყო), მინდვრების გარშემო ადგილები თოვლით იყო დაფარული. ხოლო თვით მინდვრები ჰოკეის მოედნებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთისას. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელიც დაახლოებით ასეთსავე ამინდში მიმდინარეობდა. ასეთ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ტრიბუნები საფეხით ცარიელია (და რისთვისაა მამ ფეხბურთი), ტრავმებიც ხშირია.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს შექმნილი შეხვედრები გადაეტანა იმ ქალაქებიდან, სადაც საფეხბურთო მინდვრები უკვე გაიყინა და შეუძლებელია თამაში, – ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ქალაქებში ეს იქნებოდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება.

(საკდესის კორ.).

“ლელო”, 6 ნოემბერი, 1979 წ.